



ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები NODIA, URUMASHVILI & PARTNERS

სარჩევი:

- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები 2
- საქართველოს ეროვნული ბანკის განცხადებები 5
- მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის - ახალი რეალობა 6
- კარგი სანარმოო პრაქტიკის (GMP) სერტიფიკატის ქონის ვალდებულება ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე იმპორტირებისას
- საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება პირბადის საჯარო სივრცეში ტარების მოთხოვნასთან დაკავშირებით 7
- „რეკლამის შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებები
- “ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მონყობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები 8
- „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის“ კოდექსში გათვალისწინებული ცვლილებები

1. „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

„პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში 2021 წლის 30 დეკემბრის ცვლილებები ძირითადად უკავშირდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმებას, რის შედეგადაც საჭირო გახდა კანონის გადასინჯვა და აღნიშნული სამსახურისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე კომპეტენტური ორგანოს განსაზღვრა პერსონალური მონაცემთა დაცვის სამსახურის სახით. ცვლილებები სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის უფლებამონაცვლე ორგანოს კუთხით, ასევე, შეეხო „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“, „ფასიანი ქაღალდების შესახებ“ და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონებს.

ახალი უწყებისადმი პერსონალური მონაცემების დაცვის დაქვემდებარებამ საჭირო გახდა კანონში მისი ორგანიზაციულ-სტრუქტურული მონქსრიგების აღბეჭდვა, უფლება-მოვალეობებისა და საქმიანობის პრინციპების განსაზღვრა, რის საფუძველზეც კანონს დაემატა V¹ თავი. აღნიშნული ცვლილებების თანახმად:

- პერსონალური მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს მოქალაქე, რომელიც არ არის ნასამართლევნი, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და მართლმსაჯულების ან სამართალდამცავი ორგანოების სისტემაში ან ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება, ასევე მაღალი პროფესიული და მორალური რეპუტაცია;
- პერსონალური მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის შესარჩევი კონკურსი ცხადდება და საკონკურსო კომისია იქმნება საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით;
- პერსონალური მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე შესარჩევი კონკურსით გამოვლინდება მინიმუმ 2, მაქსიმუმ 5

- კანდიდატურა, რომლებიც წარედგინება პრემიერ-მინისტრს, შემდგომ კი 2 კანდიდატი პარლამენტს, პერსონალური მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ასარჩევად;
- კანონით გარანტირებულია პერსონალური მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ხელშეუხებლობა, რაც გულისხმობს, რომ მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის, მანქანის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინასწარი თანხმობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოხდება დანაშაულზე წასწრება;
- პერსონალური მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის თანამდებობა შეუთავსებელია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოსა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობასთან, სახელმწიფო სამსახურსა და საჯარო სამსახურში ნებისმიერ თანამდებობასთან და სხვა ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და სახელოვნებო საქმიანობებისა. პერსონალური მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსი არ შეიძლება ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, უშუალოდ ახორციელებდეს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელის, სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო ან საკონსულტაციო ორგანოს წევრის უფლებამოსილებას, იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში. აქვე, პერსონალური მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსს ეკრძალება მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების მხარდამჭერ ან საწინააღმდეგო შეკრებასა და მანიფესტაციაში მონაწილეობა;
- აღსანიშნავია, რომ პერსონალური მონაცემთა დაცვის სამსახური უფლებამოსილებების განხორციელებისას დამოუკიდებელია და არ ექვემდებარება არცერთ ორგანოს და

თანამდებობის პირს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსსა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მოსამსახურებზე რაიმე ზემოქმედება და მათ საქმიანობაში უკანონო ჩარევა აკრძალულია და კანონით ისჯება;

- ცვლილებით განისაზღვრა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომლის სამართლებრივი და სოციალური დაცვის საწყისები, ასევე, სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლის შერჩევის, თანამდებობაზე დანიშვნისა და უფლებამოსილებების წესი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსი საქართველოს პარლამენტს წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს 31 მარტისა, წარუდგენს ანგარიშს საქართველოში მონაცემთა დაცვის მდგომარეობის, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლის შესახებ.

გარდა ზემოაღნიშნული სტრუქტურული ცვლილებებისა, კანონს დაემატა V² თავი, რომელიც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფლებამოსილებებს განსაზღვრავს მონაცემთა დაცვის სფეროსა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების კონტროლის სფეროში. სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- ა) მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციის გაწევა;
- ბ) მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვა;
- გ) მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება);
- დ) საქართველოში მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდება და მისი ინფორმირებულობის გაზრდა.

ამავე თავში დეტალურად მოწესრიგდა მონაცემთა სუბიექტის განცხადების განხილვის პროცედურა და შემოწმების განხორციელების წესი. შემოწმება შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე შემდეგ ფარგლებში:

- ა) მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვისა და მონაცემთა დამუშავების კანონიერი საფუძვლების არსებობის დადგენას;
- ბ) მონაცემთა უსაფრთხოების დაცვისთვის განხორციელებული ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებებისა და პროცედურების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას;
- გ) ფაილური სისტემის კატალოგთან, ფაილურ სისტემათა კატალოგების რეესტრსა და მონაცემთა გაცემის აღრიცხვასთან დაკავშირებით ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების შესრულების შემოწმებას;
- დ) მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემის კანონიერების შემოწმებას;
- ე) მონაცემთა დაცვისთვის ამ კანონით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესებისა და მოთხოვნების დაცვის შემოწმებას.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური უფლებამოსილია შემოწმების განხორციელებისას ნებისმიერი დაწესებულებისგან, ფიზიკური პირისგან ან/და იურიდიული პირისგან გამოითხოვოს დოკუმენტი ან/და ინფორმაცია, მათ შორის, სახელმწიფო, საგადასახადო, საბანკო, კომერციული, პროფესიული საიდუმლოებების ან/და მონაცემების შემცველი ინფორმაცია, აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და დანაშაულის გამოძიების ამსახველი მასალა ან/და დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნება და აუცილებელია შემოწმების ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ფარგლებში განსახორციელებლად, ასევე

უფლებამოსილია შემოწმების განსახორციელებლად შევიდეს ნებისმიერ დანესებულებასა და ორგანიზაციაში და გაეცნოს ნებისმიერ დოკუმენტსა და ინფორმაციას, მათ შორის, სახელმწიფო, საგადასახადო, საბანკო, კომერციული, პროფესიული საიდუმლოებების ან/და მონაცემების შემცველ ინფორმაციას, აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და დანაშაულის გამოძიების ამსახველ მასალას ან/და დოკუმენტაციას ან/და ინფორმაციას, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნება, მიუხედავად მათი შინაარსისა და შენახვის ფორმისა.

ცვლილებებით ასევე განისაზღვრა ღონისძიებების ჩამონათვალი, რომლის გამოყენების უფლებაც გააჩნია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, მათ შორის, მას შეუძლია:

- ა) მოითხოვოს დარღვევისა და მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებების მის მიერ მითითებული ფორმით და მითითებულ ვადაში გამოსწორება;
- ბ) მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების დროებით ან სამუდამოდ შეწყვეტა, თუ მონაცემთა დამუშავებლის ან უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა უსაფრთხოების დაცვისთვის განხორციელებული ღონისძიებები და პროცედურები არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;
- გ) მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, მონაცემთა დაბლოკვა, წაშლა, განადგურება ან დეპერსონალიზაცია, თუ მიიჩნევს, რომ მონაცემთა დამუშავება საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით ხორციელდება;
- დ) მოითხოვოს მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემის შეწყვეტა, თუ მონაცემთა გადაცემა საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით ხორციელდება;
- ე) წერილობით მისცეს რჩევები და გაუწიოს რეკომენდაცია მონაცემთა დამუშავებელს ან/და უფლებამოსილ პირს მის მიერ მონაცემთა დამუშავებასთან

დაკავშირებული უმნიშვნელოდ შემთხვევაში; ვ) დამრღვევს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. წესების დარღვევის დააკისროს

თუ მონაცემთა დამუშავებელი ან/და უფლებამოსილი პირი არ შეასრულებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მოთხოვნებს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს, სამართალდამცავ ორგანოს ან/და შესაბამისი სფეროს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ზედამხედველ (მარეგულირებელ) სახელმწიფო დანესებულებას. თუ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური გამოავლენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, იგი უფლებამოსილია შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და, შესაბამისად, მონაცემთა დამუშავებელს ან/და უფლებამოსილ პირს დააკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. ხოლო, თუ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური საქმიანობის განხორციელებისას მიიჩნევს, რომ არსებობს დანაშაულის ნიშნები, იგი ვალდებულია ამის შესახებ კანონით დადგენილი წესით აცნობოს უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს.

მონაცემთა დაცვის სფეროში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა და იგი კანონით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სასამართლოში.

ცვლილებებით, ასევე, განისაზღვრა საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს კონტროლის ასპექტები ფარული საგამოძიებო მოქმედების – სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის – ჩატარების დროს. სააგენტოს მოსამსახურე ვალდებულია ითანამშრომლოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან – პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს სრულად მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია და

დოკუმენტები, აგრეთვე მისცეს ახსნა-განმარტებები შემოწმების (ინსპექტირების) განხორციელებისას გამოვლენილ ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით.

დაბოლოს, აღსანიშნავია, რომ ამ კანონის დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ნაწილში არ არის შესული ძირეული ცვლილებები.

2. საქართველოს ეროვნული ბანკის განცხადებები - უკრაინაში ჩუსული აგვისის საპასუხო ფინანსური სანქციები

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2022 წლის 27 თებერვლის განცხადებით ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი უერთდება რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო რეზოლუციებით დადგენილ ფინანსურ შეზღუდვებს. ისინი განმარტავენ, რომ სხვადასხვა რუსული არხების მიერ გავრცელდა დეზინფორმაცია, თითქოს საქართველოს ეროვნული ბანკი გვერდს უვლის დაწესებულ სანქციებს ფინანსურ სექტორში, რაც არის „ტყუილი და იმ ომისა და აგრესიის ნაწილი, რომელიც დღეს უკრაინაში მიმდინარეობს.“

უკრაინის მიმართ მხარდამჭერ განცხადებას მოჰყვა საქართველოს ეროვნული ბანკის სამი მარტის გამოხმაურება, რომლის თანახმად ეროვნულმა ბანკმა საქართველოში არსებულ კომერციულ ბანკებს მითითებები მისცა რუსული ფინანსური სისტემისთვის აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, ევროკავშირისა და სხვა ქვეყნების სანქცირებული მოთხოვნების შესრულების გათვალისწინების შესახებ.

მართალია, აღნიშნული მითითებები ეროვნულ ბანკს საჯაროდ არ გამოუქვეყნებია, თუმცა, ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად, გაზიარებულ იქნა შემდეგი ბმულები, რომლებიც უცვლელი სახით იყო მიწოდებული კომერციული ბანკებისთვის და დეტალური ჩამონათვალია ფინანსური სექტორის მიერ დადგენილი სანქციების (ინგლისურ ენაზე):

- ამერიკის შეერთებული შტატების საზღვის მიერ დადგენილი სანქციები:

<https://home.treasury.gov/policy-issues/financial-sanctions/recent-actions>;

<https://home.treasury.gov/policy-issues/financial-sanctions/sanctions-programs-and-country-information/ukraine-russia-related-sanctions>.

- ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციები: [https://eur-lex.europa.eu/eli/dec/2014/145\(1\)/](https://eur-lex.europa.eu/eli/dec/2014/145(1)/); <https://eur-lex.europa.eu/oj/direct-access.html>.
- გაერთიანებული სამეფოს მიერ დაწესებული სანქციები: https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/1060262/Russia.pdf

სანქციები ვრცელდება როგორც კონკრეტულ ფიზიკურ პირებზე, ასევე იურიდიულ პირებზე და მათ ეზღუდება საფინანსო სექტორთან წვდომა. ამასთან, უქმდება საფინანსო ლიცენზიები და წვდომა საერთაშორისო საგადახდო სისტემებთან.

სანქციები ასევე გავრცელდა საქართველოში მოქმედ სს "ვითიბი ბანკ საქართველოზე". ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით სს "ვითიბი ბანკი საქართველოსა" და სს "ბაზის ბანკს" შორის შედგა შეთანხმება, რომლის თანახმადაც სს "ვითიბი ბანკ საქართველოში" არსებული ფიზიკური პირების ანაბრები და სესხები ბაზის ბანკში გადავიდა. აქვე, აღსანიშნავია, რომ კონსულტაციების შედეგად სს "ვითიბი ბანკ საქართველოსა" და სს "ლიბერთი ბანკს" შორის მიღწეულია შეთანხმება, რომლის თანახმადაც, სს "ვითიბი ბანკი საქართველოს" იურიდიული პირების დეპოზიტებისა და სესხების გარკვეული ნაწილი სს "ლიბერთი ბანკში" გადავა. სს "ვითიბი ბანკი საქართველოს" მომხმარებლებს აღნიშნულის შესახებ ბანკები დეტალურ ინფორმაციას ინდივიდუალურად აწვდიან. შეთანხმება ითვალისწინებს მცირე და საშუალო ბიზნესის დეპოზიტებისა და სესხების გადაცემას სს "ლიბერთი ბანკისთვის". მომხმარებლების პორტირებაზე მუშაობა დაწყებულია და 3 მარტიდან ეტაპობრივად სს "ვითიბი ბანკი საქართველოს" მცირე და საშუალო ბიზნეს მენაბრეებსა და მსესხებლებს სს "ლიბერთი ბანკი" თავის ფილიალებში მოემსახურება.

განსაკუთრებით ყურადსაღები იყო საქართველოს ეროვნული ბანკის 9 მარტის განცხადება, რომლის თანახმადაც საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები და საბარათე საპროცესინგო სისტემები, გადახდების სისტემების კომპანია "Mир"-თან არ თანამშრომლობენ. მათივე განცხადებაში იკითხება, რომ საგადახდო სისტემების კომპანია "Mир"-ი თანამშრომლობს აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკასთან, რაც ბანკის შეფასებით შესაძლოა არღვევდეს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონს. თუმცა, აქვე, ნახსენებია, რომ ქართული კომპანიის თანამშრომლობა საგადახდო სისტემების კომპანია "Mир"-თან სცილდება ეროვნული ბანკის კომპეტენციას.

საგადახდო სისტემების კომპანია "Mир"-თან დაკავშირებით კიდევ ერთი განცხადება გაკეთდა 19 მარტს, რომელიც მედიაში გაჟღერებულ ინფორმაციას უკავშირდებოდა სავაჭრო ცენტრების მხრიდან აღნიშნული სისტემის გამოყენებაზე. ეროვნულმა ბანკმა კიდევ ერთხელ გააჟღერა, რომ სისტემა "MIR"-ს საქართველოში რეგისტრირებული არც ერთი კომერციული ბანკი ან საგადახდო მომსახურების პროვაიდერი არ ემსახურება. შესაბამისად, თუკი საქართველოში არსებულ ორგანიზაციას საგადახდო მომსახურებას საქართველოში რეგისტრაციის არმქონე კომპანია გაუწევს, ამით დაირღვევა "საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონი და აღნიშნული კვალიფიცირდება როგორც არაკანონიერი სამენარმეო საქმიანობა და გადაეცემა საგამოძიებო სამსახურებს მსგავსი ფაქტები.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ეროვნული ბანკი 2022 წლის 16 მარტის განცხადებაში გამოეხმაურა დეზინფორმაციას ევროპის ქვეყნებიდან საქართველოში ტრანზაქციების აკრძალვის შესახებ. მათი მტკიცებით, „როგორც უცხოური ისე ქართული ბანკები აანალიზებენ, თუ რამდენად მისაღებია მათთვის იმ რესურსის გაღება, რომელიც საჭიროა კონკრეტული ტრანზაქციების სანქციებთან შესაბამისობის დასადგენად. სწორედ ამ შეფასებისა და კომერციული ბანკის შიდა პოლიტიკა-პროცედურების საფუძველზე მიიღება კონკრეტული ტრანზაქციის თაობაზე გადაწყვეტილებები.“

3. მეწახმეთა შესახებ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების მიმოხილვა

2022 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა საქართველოს ახალი კანონი მეწარმეთა შესახებ, რომელმაც არსობრივად შეცვალა წინა კანონით გათვალისწინებული მთელი რიგი საკითხები. ამასთანავე, 1 იანვრიდანვე ამოქმედდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა: ა) სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების; ბ) კომანდითური საზოგადოების; გ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების; დ) სააქციო საზოგადოების ე) კოოპერატივის სტანდარტული წესდებები, ე.ი. წესდებები, რომლებიც ავტომატურად მიიჩნევა სამენარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმების ნაწილად, იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს დამფუძნებლებს არ აქვთ შემუშავებული და მიღებული ინდივიდუალური წესდება.

ამასთან, გვსურს, გაცნობოთ, რომ „მეწარმეთა შესახებ კანონზე“ განხილვები და განმარტებები შეგიძლიათ იხილოთ ყოველ მეორე სამშაბათს 09:40-ზე იურიდიული კომპანია „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორებისა“ „ბიზნეს მედია საქართველოს (BMG)“ თანამშრომლობის ფარგლებში გადაცემაში „საქმიან დილა“ ტვ პირველის ეთერში სამართლის რუბრიკის ფრილში.

4. კახგი საწარმოო პრაქტიკის (GMP) სეგმენტის ქონის ვადლებზე ფაქტობრივი პირობების საქართველოს ბაზარზე იმპორტირებისასაც სავადლებულ ხდება

წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონში შესული ცვლილებებით, დადგინდა, რომ ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე იმპორტირებისათვის სავადლებულოა ფარმაცევტული პროდუქტის კარგი საწარმოო პრაქტიკის (GMP) სტანდარტით წარმოების დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენა.

აღნიშნული ვადლებების ამოქმედების ეტაპებსა და პირობებს განსაზღვრავს

საქართველოს მთავრობა. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ მთავრობის მიერ დადგენილი პერიოდულობის მიხედვით, ფარმაცევტული პროდუქტის იმპორტიორი ვერ შეასრულებს აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენის ვალდებულებას, ფარმაცევტული პროდუქტი ვერ დააკმაყოფილებს რეგისტრაციის მოთხოვნებს და იგი ვერ მოხვდება საქართველოს ბაზარზე.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ცვლილების მიზანია თანაბარ პირობებში ფარმაცევტული პროდუქციის იმპორტიორებისა და მწარმოებლების ჩაყენება, რადგან, ცვლილების განხორციელებამდე, მსგავსი სერტიფიკატის ქონისა და წარდგენის ვალდებულება, მხოლოდ მწარმოებლებს გააჩნდათ.

5. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება პირბადის საჯარო სივრცეში გახების მოთხოვნასთან დაკავშირებით

საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციური სარჩელი, რომელიც სადავოდ ხდოდა მთავრობის უფლებამოსილებას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესაბამისი ცვლილების განხორციელებამდე (2020 წლის 3 ნოემბრიდან 2021 წლის 19 თებერვლამდე პერიოდში) ღია საჯარო სივრცეში ყოფნისას/გადაადგილებისას პირბადის ტარების წესის დარღვევისთვის პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა.

საკონსტიტუციო სასამართლომ **განმარტა**, რომ ადმინისტრაციულ კოდექსში შესაბამისი ცვლილების განხორციელებამდე მთავრობის მიერ დადგენილებაში ცვლილების შეტანით რომლითაც მთავრობამ ღია საჯარო სივრცეში გადაადგილებისას პირბადის ტარების ვალდებულება დაადგინა, გააფართოვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42¹¹ მუხლით გათვალისწინებული დასჯადი ქმედების (რომელიც მხოლოდ დახურულ საჯარო სივრცეში პირბადის ტარების წესის დარღვევას შეეხებოდა) დიაპაზონი და შემოიღო ახალი სანქცირებადი ქმედება. საკონსტიტუციო

სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველი წინადადებაზე, და განმარტა, რომ საქართველოს მთავრობას არ აქვს პასუხისმგებლობის დამდგენი კანონის მიღების უფლება. ამგვარად, სადავო მონესრიგება შეუთავსებელი იყო სამართლებრივი პასუხისმგებლობის კანონით განსაზღვრის კონსტიტუციურ მოთხოვნასთან და იგი არაკონსტიტუციურად უნდა ყოფილიყო ცნობილი.

***აქვე, განვმეორდებით, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ეხება მხოლოდ 2020 წლის 3 ნოემბრიდან 2021 წლის 19 თებერვლამდე პერიოდს და არ ეხება მას შემდგომ პერიოდს, როდესაც ცვლილება იქნა განხორციელებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში.**

6. „რეკლამის შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებები

„რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში 2022 წლის პირველი მარტიდან ამოქმედებული ცვლილებებით გაფართოვდა კანონის მოქმედების სფერო და დამატებით დარეგულირდა აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს, აზარტული თამაშობის ორგანიზატორის, ტოტალიზატორის ორგანიზატორის, ლოტოს ორგანიზატორის და ბინგოს ორგანიზატორის რეკლამირებისა, და აგრეთვე, რეკლამის წარმოების, განთავსებისა და გავრცელების დროს არასრულწლოვანთა დაცვის საკითხები.

კანონით განისაზღვრა, რომ ზემოაღნიშნული საქმიანობების რეკლამის გავრცელება და აბრის განთავსება დაშვებულია მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში, კერძოდ, თუ :

- ა) აღნიშნული რეკლამა ვრცელდება იმ ვებგვერდზე განთავსებით, რომელზედაც დაშვებულია სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობის ან/და ტოტალიზატორის მოწყობა;
- ბ) აღნიშნული რეკლამა ვრცელდება სპორტული ღონისძიების, სპორტული შეჯიბრების გამართვის ადგილზე, ან/და სპორტული ორგანიზაციის

საქმიანობის ადგილზე და აღნიშნული არის მათი საქმიანობის სპონსორობის სანაცვლო პირობა;

გ) აღნიშნული რეკლამა ვიზუალურად განთავსებულია იმ ობიექტზე, სადაც დაშვებულია აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, ლოტოს ან/და ბინგოს მოწყობა;

დ) აღნიშნული რეკლამა განთავსებულია საერთაშორისო მიმოსვლისთვის გახსნილი აეროპორტის ტერიტორიაზე ან/და სასაზღვრო-საბაჟო გამშვებ პუნქტზე.

აგრეთვე განისაზღვრა, რომ დაუშვებელია აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს, აზარტული თამაშობის ორგანიზატორის, ტოტალიზატორის ორგანიზატორის, ლოტოს ორგანიზატორის და ბინგოს ორგანიზატორის შესახებ ინფორმაციის შემცველი ერთზე მეტი აბრის განთავსება. ასევე, აბრა 10 კვ. მ-ს არ უნდა აღემატებოდეს.

7. “დაცხიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ” საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ საქართველოს კანონში 2021 წლის 22 დეკემბერს მიღებული ცვლილებებით განისაზღვრა, რომ შეიქმნას თამაშზე დამოკიდებულ პირთა სია. აღნიშნულ სიაში პირის თაობაზე მონაცემები შეიტანება მოსამართლის ბრძანების ან თავად ამ პირის მიმართვის საფუძველზე და აკრძალულ პირთა სია, რომელშიც შედიან საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული საბიუჯეტო ორგანიზაციაში დასაქმებული პირები, ეროვნული მარეგულირებელ ორგანოების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მარეგულირებელ ორგანოში დასაქმებული პირები, საქართველოს ეროვნულ ბანკში დასაქმებული პირები, სოციალურად

დაუცველი ოჯახის მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრები. აკრძალულ პირებს დამოკიდებული პირების მსგავსად ეკრძალებათ აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებში (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) მონაწილეობა, მათ შორის თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში. აღნიშნულ სიებში დასაშვებია მხოლოდ საქართველოს მოქალაქის შესახებ მონაცემების შეტანა. ამასთან, დამოკიდებულ პირთა სიაში პირის შესახებ მონაცემები შეიტანება 5 წლის ვადით.

აგრეთვე, განისაზღვრა, რომ თამაშობის ორგანიზატორი ვალდებულია აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) მოწყობის ადგილზე, მათ შორის, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში სათამაშოდ არ დაუშვას 25 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქე, 18 წლამდე ასაკის უცხო ქვეყნის მოქალაქე/მოქალაქეობის არმქონე პირი, დამოკიდებულ პირთა სიასა და აკრძალულ პირთა სიაში შეყვანილი პირები.

8. „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარია და მცენარეთა დაცვის“ კოდექსში გათვალისწინებული ცვლილებები

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად, ვეტერინარული საქმიანობა (ვეტერინარი, ვეტერინარი ტექნიკოსი) ხდება რეგულირებადი პროფესია.

2023 წლის 1 სექტემბრამდე საქართველოს მთავრობამ უნდა განსაზღვროს, ა) ვეტერინარიისა და ვეტერინარი ტექნიკოსის პროფესიული კომპეტენციები და ბ) ვეტერინარიისა და ვეტერინარი ტექნიკოსის საქმიანობისთვის სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდის ჩატარებისა და მათი პროფესიული განვითარების წესი და პირობები.


საკონტაქტო ინფორმაცია:

**საქათვედო, ქ. თბილისი,
ვაჟა - ფშავედას გამზიი 71, ბლოკი IV,
სახიუდი IV, ოფისი 28**

ტელ: (+995) 322 207407 (ext. 101)

მობილური: (+995) 555 018585

ელ-ფოსტა: info@nplaw.ge



**NODIA,
URUMASHVILI
& PARTNERS**